პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 37 (11041) | ხუთშაბათი, 13 თებერვალი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და ყოვლისმძლე იდეების ერთგული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საქართველოს პარტიული ორგანიზაცია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საქართველოს კპ XVIII ყრილობისა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობა ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი ცნობილ იქნას სწორად და პრაქტიკული საქმიანობა დამაკმაყოფილებლად.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი აღინიშნა თვალსაჩინო მოვლენებით საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო ცხოვრებაში.

გადამწყვეტი და განმსაზღვრელი ისტორიული მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელმაც დასახა სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, უდიდესი წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი შემოქმედებითი განვითარების საქმეში, ხელი შეუწყო სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ურღვევი ერთიანობის, მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა ხალხი მძლავრი ძალებით აღსავსე შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს. პარტიის ლენინური გენერალური ხაზის — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხაზის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად 1957 წელს მთელი სამრეწველო პროდუქციის წარმოება სსრ კავშირში 46-ჯერ გაიზარდა 1917 წელთან შედარებით. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირი მოწინავე სოციალისტური მიწათმოქმედების ქვეყანა გახდა. უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიება იყო 36 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. სოფლის მეურნეობის მშრომელები წარმატებით წყვეტენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

უმაგალითო მწვერვალებს მიაღწია კულტურამ ჩვენს ქვეყანაში. განათლებისა და მეცნიერების დონის მხრივ საბჭოთა კავშირი პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. დედამიწის ორი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევაა, რომლითაც ახალი ერა დაიწყო მსოფლიოს შეცნობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირში განხორციელდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ძირეული გარდაქმნა. სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებამ ახალი ხელსაყრელი პირობები შექმნა ჩვენი ქვეყნის საწარმოო რეზერვებისა და მდიდარი ბუნებრივი რესურსების სრული გამოყენებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმა, რომელიც ამჟამად მუშავდება, მნიშვნელოვნად მოაახლოებს საბჭოთა კავშირის იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტას, რომ ისტორიულად უმოკლეს ვადებში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სახალხო მეურნეობის განვითარების იმ დიადი გეგმების შესრულება, რომლებიც პარტიამ დასახა, უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, შესაძლებელს გახდის საბჭოთა ადამიანების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრულად და უკეთ დაკმაყოფილებას, უახლოეს 10-12 წელიწადში აღმოფხვრის საცხოვრებელი ბინების ნაკლებობას.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტია გადაჭრით ახორციელებდა პიროვნების კულტით წარმოშობილი შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორების, კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების უმკაცრესად დაცვის კურსს. მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის მხილებამ, რომლებიც სკკპ XX ყრილობის მიერ დასახული კურსის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, კიდევ უფრო განამტკიცა პარტიის ლენინური ერთიანობა.

მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში შესანიშნავი მოვლენა იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირები, რომლებმაც მიიღეს ისტორიული დოკუმენტები — დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, რომლებშიც განზოგადებულია გამოცდილება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ბრძოლისა ომისშემდგომ პერიოდში და განსაზღვრულია მისი ამოცანები თანამედროვე პირობებში.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი პრაქტიკული საქმიანობა მიმართული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისაკენ, რესპუბლიკის პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისაკენ.

I.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის დარგში, რომლებიც განხორციელდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ მოსპო უწყებრივი ბარიერები, მიუახლოვა ხელმძღვანელობა საწარმოებს, გააძლიერა ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა მრეწველობის მუშაობისათვის, გამოიწვია ხალხის მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ახალი აღმავლობა.

მართვის გარდაქმნის შემდეგ გაუმჯობესდა მრეწველობის მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს მრეწველობამ 1957 წლის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ნახევარი მილიარდი მანეთის პროდუქცია.

გაწეულია დიდი მუშაობა მრეწველობისა და ტრანსპორტის ტექნიკური აღჭურვისათვის. წარმოებაში უფრო ფართოდ ინერგება ავტომატიკა, ტელემექანიკა, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

გადიდდა ქვანახშირის ამოღება, თუჯის, ფოლადის გამოდნობა, ნაგლინის წარმოება, ელექტროენერგიის გამომუშავება, ათვისებულია მთელი რიგ ახალ, უფრო სრულყოფილ სახეობათა მანქანების, ჩარხებისა და მოწყობილობის გამოშვება; ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ბაზაზე შეიქმნა ელექტრომავალსამშენებლო ქარხანა, რომელმაც აითვისა სამაგისტრალო ელექტრომავლების გამოშვება.

გასულ წლებში ამუშავდა რუსთავის ცემენტის ქარხანა, ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი ითხვისის მაღარო და გამამდიდრებელი ფაბრიკის მეორე რიგი, ორი მარტენის ღუმელი და ფურცელსაგლინავი საამქრო ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, შახტი № 6 ტყვარჩელში და შახტი № 3 ახალციხეში, გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგური, ბჟუჟის ჰიდროელექტროსადგური, ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგური, ტყიბულის ჰიდროელექტროსადგური, ზესტაფონი-ჭიათურა-დარკვეთის ელექტროფიცირებული ფართოლიანდაგიანი რკინიგზის ხაზი.

გაიზარდა და განმტკიცდა ქვების და მსუბუქი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გადიდდა აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილების, ფეხსაცმლის, ჩაის, ღვინო-არყის და თამბაქოს ნაწარმის და ფართო მოხმარების სხვა სახეობათა სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამოშვება.

ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის მუშაობასა და მშენებლობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი არსებითი ნაკლოვანებანი.

მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში ვერ სრულდება ნაკეთობათა ნომენკლატურის გეგმები, მაღალია პროდუქციის, განსაკუთრებით ქვანახშირისა და ლითონის თვითღირებულება, ნელა ინერგება ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია. საკმარისად არ ხორციელდება ღონისძიებანი შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მრეწველობის დარგების სპეციალიზაციასა და კოოპერირებას.

ჭიანურდება გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები ზოგიერთ ძირითად საბადოზე, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა ახალი გამოკვლეული საბადოების მომზადება ექსპლოატაციისათვის.

1957 წელს არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტი. ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, მაგრამ ვერ უზრუნველყო თუჯის, ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების გეგმის შესრულება.

ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ შეუწყნარებლად ჩამორჩება საშენ მასალათა წარმოება, რომლის მეტად ნელი ზრდა აფერხებს სამრეწველო და საბინაო მშენებლობის ტემპებს.

საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მშენებლობის ღირებულების შემცირებას, შემსუბუქებული ეფექტიანი კონსტრუქციებისა და ახალი საშენი მასალების დანერგვას, საქარხნო წესით დამზადებულ საშენ ნაკეთობათა მწარმოებელი ბაზების შექმნას. არადამაკმაყოფილებლად სრულდება საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს:

უზრუნველყონ მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა, ყველა საწარმოსა და მშენებლობის მიერ სახელმწიფო გეგმების აუცილებლად შესრულება მთლიანად და გადაჭარბებით, სახალხო მეურნეობის რეზერვების სრულად გამოყენება.

გაუმჯობესდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატის, ტრესტებისა და სამმართველოების მუშაობა, გამარტივდეს მათი სტრუქტურა, მიახლოებულ იქნას ხელმძღვანელობა წარმოებასთან.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს და ყველა მისი საწარმოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სხვა ეკონომიური რაიონებისათვის დაკვეთებისა და მიწოდების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება, დაშვებულ არ იქნას კუთხურობის რაიმე გამოვლინება; უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს სპეციალიზაციისა და კოოპერირების საკითხებს, სარაიონთაშორისო კავშირის განმტკიცებას.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ყოველმხრივ დაამუშაონ რესპუბლიკაში საწარმოო ძალების უფრო რაციონალური განლაგების საკითხი, მიუახლოონ ეს ძალები ნედლეულის ბაზებს.

მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესება. უფრო გაბედულად დაინერგოს წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, მოწინავე გამოცდილება და რაციონალიზატორული წინადადებანი.

მუდმივი ზრუნვის საგანი იყოს საწარმოთა დროული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, უზრუნველყოფილ იქნას წარმოების ზუსტი დაგეგმვა. საწარმოებმა დააჩქარონ ახალ სახეობათა მანქანების, ჩარხების, მოწყობილობისა და აპარატების ათვისება და მოაწყონ მათი სერიული გამოშვება.

რესპუბლიკაში ელექტროენერგიის დეფიციტის შემცირების მიზნით დაჩქარდეს მუშაობა მინგეჩაურ-თბილისის ელექტროგადამცემი ხაზის, აგრეთვე ახალი ელექტროსადგურების მშენებლობისათვის, რომელთა ამოქმედება ჭათვალისწინებულია სახალხო-სამეურნეო გეგმით.

განუწყვეტლივ გადიდდეს ქვანახშირის ამოღება რესპუბლიკაში, რისთვისაც უფრო გაბედულად დაინერგოს შახტებში ახალი ტექნიკა და მუშაობის პროგრესული მეთოდები; ფართო ფრონტით იქნას წარმოებული გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები ქვანახშირის პერსპექტიან ფართობებზე, განსაკუთრებით შაორსა და ტყვარჩელში; დაჩქარდეს ახალი შახტების ამუშავება — № 8 შახტისა ტყვარჩელში, № 2 აღმოსავლეთის შახტისა ტყიბულში და № 4/5 შახტისა ახალციხეში.

ძირეულად გაუმჯობესდეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სამეურნეო საქმიანობა. მნიშვნელოვნად გადიდდეს უმაღლესი ხარისხის მარგანეცის მადნის გამოშვება, უზრუნველყოფილ იქნას ახალი ითხვისის მაღაროს საპროექტო სიმძლავრის უსწრაფესი ათვისება. გაუმჯობესდეს მარგანეცის მაღაროების მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

მეტი ყურადღება მიექცეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას და უმოკლეს ვადაში ლიკვიდირებულ იქნას ქარხანაში არსებული ნაკლოვანებანი. მიღებულ იქნას ღონისძიებანი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობის რაც შეიძლება მალე დამთავრებისათვის.

მკვეთრად გადიდდეს მინერალური სასუქების წარმოება. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მოეწყოს მიკროსასუქების წარმოება მარგანეცის მწირი კარბონატული მადნის გადამუშავების ბაზაზე. საჭიროდ იქნას მიჩნეული რუსთავის ქარხანაში კაპროლაქტანის წარმოების მოწყობა და მის ბაზაზე ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის შექმნა.

ყრილობა საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებისაგან მოითხოვს მკვეთრად გაადიდონ საკიდლე და სხვა მასალების წარმოება რესპუბლიკაში მშენებლობის მზარდ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად.

გაუმჯობესდეს სატყეო მრეწველობის მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხე-ტყის დამზადების გადიდებას და ტყის მასივების უფრო რაციონალურად გამოყენებას.

გადიდდეს ჩაისა და მეღვინეობის მრეწველობის სიმძლავრენი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყურძნისა და ჩაის მწვანე ფოთლის შეუფერხებელი გადამუშავება. სერიოზული ყურადღება მიექცეს საკონსერვო, ეთერზეთოვანი მრეწველობისა და ვენების მრეწველობის სხვა დარგების შემდგომ განვითარებას.

შემუშავებულ იქნას ღონისძიებანი ხელოვნური აბრეშუმისა და მატყლის, ტყავის შემცვლელების წარმოების ორგანიზაციისათვის, აგრეთვე აბრეშუმის მრეწველობის სანედლეულო ბაზის განმტკიცებისათვის. გადიდდეს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საქონლის გამოშვება.

გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა და კონტროლი ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და სარეწო კოოპერაციის სისტემის საწარმოთა მუშაობისადმი. მიღებულ იქნას ღონისძიებანი ადგილობრივი ნედლეულიდან და სახელმწიფო მრეწველობის ნარჩენებიდან ფართო მოხმარების საგნებისა და სამრეწველო საშენი მასალების წარმოების გაფართოებისათვის. მეტი ყურადღება მიექცეს მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებას. დაჩქარდეს წვრილი დაქსაქსული საწარმოებისა და არტელების სპეციალიზაცია და გამსხვილება.

მიღებულ იქნას ღონისძიებანი რკინიგზის, საჰაერო და საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებისა და მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს რესპუბლიკის მაგისტრალური და ადგილობრივი გზების მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესება, ავტოტრანსპორტითა და ავიატრანსპორტით სარესპუბლიკათაშორისო და შიდასაარაიონო ტვირთზიდვის შემდგომი გაფართოება.

ყოველი ღონისძიებით განვითარდეს და გაუმჯობესდეს კავშირგაბმულობის სამუალებანი; მიღწეულ იქნას ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, ტელევიზიისა და რადიოს უნაკლო მუშაობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1959-1965 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინოს ქალაქების, რაიონებისა და სოფლების მაქსიმალური რადიოფიკაცია და ტელეფონიზაცია.

ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ვადამდე შესრულდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება რესპუბლიკაში სახელმწიფო მშენებლობის ხაზით სულ ცოტა 2,1 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობისა და ინდივიდუალური მშენებლობის ხაზით 1,9 მილიონი კვადრატული მეტრის საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ.

სერიოზული ყურადღება მიექცეს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების ექსპლოატაციასა და დაცულობას.

II.

ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა გასწია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ წლებში უზრუნველყვეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდება, მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ერთგვარ გადიდებას.

გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და მათი განუყოფელი ფონდების ღირებულება, გადიდდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

სახელმწიფოს დახმარების შედეგად უმჯობესდება მთიანი და საზღვრისპირა რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობა.

სოფლის მეურნეობისა და ტექნიკის შემდგომ განვითარებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ.

ამასთან ერთად ყრილობა აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ არ მუშაობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, მათი ეკონომიკის აღმავლობის, პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომის ხარჯვის შემცირების საკითხებზე.

ბევრ კოლმეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურსა და საბჭოთა მეურნეობაში აგროტექნიკის უხეში დარღვევის შემთხვევებია. არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების დანერგვისათვის. სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები სუსტად არიან დაკავშირებულნი კოლმეურნეობებთან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან და არ უწევენ მათ საჭირო პრაქტიკულ დახმარებას. მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად დაბალია საშუალო-რესპუბლიკურ მოსავლიანობაზე. დაბალია აგრეთვე ხილის, სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ზეთოვანი კულტურების მოსავლიანობა. მთელ რიგ რაიონებსა და კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მეტად დაბალია საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საკვები ბალახების ნათესების გაფართოებას, ბუნებრივი სათიბების, მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესებას. ადგილი აქვს პირუტყვის დიდ სიკვდილიანობას და დედაპირუტყვის სუსტ ლდობის სიბერწეს.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკმაოდ არ მუშაობენ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის. ამის შედეგად კოლმეურნეობათა სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წონა მთელ რიგ სახეობათა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში შეუწყნარებლად დაბალია.

ჯერ კიდევ ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისა და კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის შესუსტების შეუწყნარებელ ფაქტებს.

ყრილობა ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა ინიციატივას. სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის დარგების ყველაზე მიზანშეწონილი დარაიონების, მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესების გზით საჭიროა მკვეთრად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტექნიკური კულტურების განვითარებას. ამ მიზნით საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს ჩაის და თამბაქოს პლანტაციების, ციტრუსოვანთა ნარგავების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების მოვლა, გადიდდეს მათი მოსავლიანობა, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ამ კულტურების ფართობების მაქსიმალური გადიდება.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს სარწყავი ფართობების გამოყენება სიმინდისათვის და მიღწეულ იქნას მისი მოსავლიანობის გადიდება.

მეცხოველეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის მიზნით განხორციელდეს ღონისძიებანი მეცხოველეობის ფერმების მუშაობის, ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობისა და სტრუქტურის, პირუტყვის მოვლა-შენახვის ძირეული გაუმჯობესებისათვის; მოიწყოს ღორებისა და ფრინველის მასობრივი გასუქება.

საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს ის, რომ რესპუბლიკაში მიმდინარე წელს წველადობა აყვანილ იქნას 1.500 კილოგრამამდე ერთ საფურაეე ძროხაზე, მაქსიმალურად გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. გასუქებულ იქნას სულ ცოტა 150.000 ღორი, 3 მილიონი ფრთა ქათამი, 0,5 მილიონი ფრთა წყალმცურავი ფრინველი. ამ მიზნით მოეწყოს სპეციალური გასასუქებელი პუნქტები და ხელოვნური წყალსატევები; გაფართოვდეს საკვები ბაზა ბალახების თესვის, სილოსის ჩადების მოცულობისა და კომბინირებული საკვების წარმოების გადიდებით.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საქართველოს კპ XVIII ყრილობისა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(დასასრული)

ღებს რა მხედველობაში, რომ რესპუბლიკას დიდი რაოდენობით ჰყავს მექანიზატორები, ყრილობა მოუწოდებს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს—ტრაქტორისტებს, კომბაინერებს და სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტს დროულად და სანიმუშოდ მომზადონ და ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა და მოსავლის აღება, უზრუნველყონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავლის მიღება.

დაევალოს რაიონულ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეებს შორის, მიაღწიონ შრომის დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეობებში და ყველა კოლმეურნის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ შრომაში. გადაჭრით იბრძოლონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ზუსტად შესრულებისათვის. უზრუნველყონ მეცხოველეობის, მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, განახორციელონ ღონისძიებანი მათი გადაქცევისათვის მაღალშემოსავლიან და სანიმუშო მეურნეობებად, მეტი ყურადღება მიაქციონ მცირე სიმძლავრის კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილი ახალი საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებასა და კეთილმოწყობას.

უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი წყლის მაქსიმალური და ეფექტიანი გამოყენება, წყალთა მეურნეობის ყველა ობიექტის მშენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა დაწესებულ ვადებში, დაჩქარდეს კოლხიდის დაბლობის დაშრობილი მიწების ათვისება. 1959 წელს დამთავრდეს ზემო სამგორის არხისა და სიონის წყალსაცავის პირველი რიგის სამშენებლო სამუშაოები.

მკვეთრად დაჩქარდეს სოფლების ელექტროფიკაციის სამუშაოები, რათა 1965 წელს მთლიანად დამთავრდეს კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაცია.

ფართოდ დაეჭიროს მხარი და გავრცელდეს მახარაძელ კოლმეურნეთა ინიციატივა, რომლებმაც გააჩაღეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობა და სოფლების კეთილმოწყობა. საკუთარი ძალებით შეიქმნას საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები და საშენ მასალათა საწარმოები.

დაევალოს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მუდამ ზრუნავდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების სოფლად შენარჩუნებისათვის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა ყოველდღიური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის და საზოგადოებრივი მეცხოველეობის გაძღოლის მოწინავე მეთოდების დანერგვისა და ფართოდ გამოყენების საქმეში.

III.

მუდამ ზრუნავენ რა ხალხის კეთილდღეობისათვის, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მიაღწიეს საქართველოს მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. გაუმჯობესდა მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. 1956-1957 წლებში მოსახლეობას მიეყიდა 1.763 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი, ჭიდრე წინა ორ წელიწადში, მათ შორის: ხორცი და ხორცის პროდუქტები — 4.000 ტონით, ერბო-კარაქი—4.100 ტონით, შაქარი—15.000 ტონით მეტი.

მარტო 1957 წელს ჯანმრთელობის დაცვისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 682 მილიონი მანეთი, ესე იგი 1955 წელთან შედარებით გაიზარდა 135 მილიონი მანეთით. პენსიებზე გაცემული თანხები 2,5-ჯერ გადიდდა.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საქართველოს მშრომელების მატერიალურ და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია ნაკლოვანებანი.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებების, კურორტების, ჯანმრთელობის კერების მუშაობას. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ქმედითს ღონისძიებებს არ იღებს ექიმთა კადრებით სოფლების, განსაკუთრებით მაღალმთიანი და საზღვრისპირა რაიონების სოფლების სამედიცინო დაწესებულებების დაკომპლექტებისათვის. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები საჭირო ღონისძიებებს არ იღებენ სოფლად სამედიცინო კადრების შენარჩუნებისათვის.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველთვის ღრმად როდი სწვდებიან სავაჭრო საწარმოების სამეურნეო საქმიანობას, არ ეწევიან გადამწყვეტ ბრძოლას სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის დამწაშავეთა ხელყოფისაგან.

სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობაში აღმოფხვრილი არ არის საქმის გაჭიანურების, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების არაოპერატიული და არაკეთილხარისხოვანი გამოძიებისა და გარჩევის ფაქტები.

ყრილობა ავალებს რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მიაღწიონ სამრეწველო და სასურსათო საქონლზე ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას საქონლბრუნვის მკვეთრი გადიდების, აგრეთვე მშრომელთა მომსახურების კულტურის გაუმჯობესების გზით.

აღმოფხვრილ იქნას სერიოზული ნაკლოვანებანი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკთა კადრების შერჩევასა და განაწილებაში და გაიშალოს მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა ფართო მონაწილეობა სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელებაში.

გაძლიერდეს ბრძოლა სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვისათვის. ყრილობა მოითხოვს სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებისაგან ბოლო მოუღონ მათს მუშაობაში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ფაქტებს, ულმობლად ამხილონ და დასაჯონ სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები, სპეკულანტები, საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევები.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, მიიღოს უფრო გადამწყვეტი ღონისძიებანი სასოფლო საავადმყოფოებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებების სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებისათვის.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საკითხი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოებისა უახლოეს წლებში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საავადმყოფოების მშენებლობას რაიონებში.

ყრილობა ავალებს რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ორგანიზაციების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს ფართოდ გაშალონ მასობრივი ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობა ახალგაზრდობაში და მიაღწიონ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ აღმავლობას რესპუბლიკაში.

IV.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

გაიზარდა ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი აქტივობა. წარმატებით ჩაიარა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადებმა. განხორციელებულია სერიოზული ღონისძიებანი მეცნიერების განვითარებისათვის. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

მაგრამ კულტურული მშენებლობის დარგში კვლავ არის არსებითი ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციები ჯეროვნად არ ზრუნავენ მაღალმხატვრული ნაწარმოებებისა და სრულფასოვანი თეატრალური დადგმების შექმნისათვის თანამედროვე თემებზე. მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქართული საბჭოთა დრამატურგია, სუსტად წარმოებს ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიის საკითხების დამუშავება.

უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საკმაოდ არ უკავშირდება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

ჯეროვან დონეზე არ წარმოებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში, არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი სკოლების პოლიტექნიზაციისა და ბავშვების შრომითი აღზრდისათვის, ბევრ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა წარმატება და დისციპლინა.

მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურება ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ყრილობა ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა რესპუბლიკის შემოქმედებითის ორგანიზაციებში, დარაზმონ ისინი თანამედროვე თემებზე ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის, ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიის აქტუალური პრობლემების დამუშავებისათვის. შემოქმედებითს ორგანიზაციებში გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა.

მეტი ყურადღება მიექცეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას. კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, წითელი კუთხეები პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენი ბაზები უნდა იყონ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებაში, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდაში.

მეცნიერ მუშაკთა ღონისძიებანი წარიმართოს იმ პრობლემების დასამუშავებლად, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ და რომლებიც ხელს უწყობენ რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას. დაევალოს სამეცნიერო დაწესებულებებს აქტიურად იბრძოლონ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის წარმოებაში.

1958 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ატომური რეაქტორის საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით განვითარდეს კვლევითი მუშაობა ნეიტრონულ ფიზიკაში, რადიაციულ ლითონმცოდნეობაში, რადიობიოლოგიაში, რადიოქიმიასა და ატომგულის გამოყენებითს ფიზიკაში; გაფართოვდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სახალხო მეურნეობაში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის განხორციელებისათვის, თანამედროვე ელექტრონიკის ბაზაზე სხვადასხვა საწარმოო პროცესების სამართავად სწრაფმოქმედ მოწყობილობათა შექმნისათვის. ყოველი ღონისძიებით განვითარდეს კვლევითი მუშაობა ნახევრადგამტართა დარგში.

გაუმჯობესდეს უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებათა მუშაობა. მოწესრიგდეს მიღება უმაღლეს სასწავლებლებში. უზრუნველყოფილ იქნას სპეციალისტების მომზადება და გამოშვება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

განხორციელდეს ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებისათვის, პოლიტექნიკური სწავლების გაშლისათვის მოსწავლეთა მიერ მეცნიერების საფუძვლების ღრმად შეთვისების გზაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საშუალო სკოლების გამოსაშვებთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის. მოსწავლეებს ჩაენერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი; განმტკიცდეს სკოლების კავშირი საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან. უზრუნველყოფილ იქნას საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის ორგანიზებული ჩაბმა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ჩაბმულ იქნას იგი პროფესიულ სწავლებაში. მიღებულ იქნას საჭირო ღონისძიებანი სასწავლებლების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და პედაგოგიური კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

ითვალისწინებს რა სასკოლო შენობების ნაკლებობას რესპუბლიკაში, განსაკუთრებით შორეულ და მთიან რაიონებში, ყრილობა ავალებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და განათლების სამინისტროს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ახალი სასკოლო შენობების მშენებლობისათვის იმ ვარაუდით, რომ აღარ იყოს მესამე ცვლად მეცადინეობა.

უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობა სკოლების მშენებლობაში კოლმეურნეობათა ფულადი და მატერიალური სახსრების მოზიდვით.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ სკოლა-ინტერნატები ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად მოსწავლეებს აძლევდნენ პროფესიულ მომზადებასაც.

V.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჯანუხარელად ახორციელებდა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ ხაზს, რომლის მიზანია პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დაცვა, მთელი პარტიული მუშაობის გაუმჯობესება და სრულყოფა, პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, კომუნისტების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის გაძლიერება.

პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების სტრუქტურის შეცვლამ, საკითხების კოლეგიურმა გადაწყვეტამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფაში.

პარტიული ორგანიზაციები ახლა მნიშვნელოვნად უფრო კარგად ეწევიან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას, კადრების შერჩევასა და აღზრდას, კომუნისტების განაწილებას წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, ახლა მეტ ყურადღებას უთმობენ პარტიის ზრდას სკკპ რიგებში მოწიხავე მუშათა და კოლმეურნეთა მიღებით.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა იდეოლოგიური მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას მიაღწიეს. ამაღლდა ბეჭდვითი და სიტყვიერი პროპაგანდის იდეურთეორიული დონე, გაუმჯობესდა მშრომელთა კომუნისტური აღზრდა, გაძლიერდა ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

დიდი მუშაობაა გაწეული ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდისათვის. განვლილ პერიოდში განმტკიცდა საქართველოს მშრომელთა ძმური კავშირი მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელებთან, აგრეთვე სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან.

მაგრამ ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიული მშენებლობის დარგში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

პარტიული კომიტეტები თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში ჯერ კიდევ სუსტად ეყრდნობიან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ჯეროვნად არ აფასებენ პარტიული ჯგუფების როლს. შინაპარტიული მუშაობა ყოველთვის როდი უკავშირდება სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას. არის აღმზრდელობითი მუშაობის ადმინისტრირებით შეცვლის ფაქტები.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ კონკრეტულად ვერ ახორციელებენ მეურნეობისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას, ღრმად არ სწვდებიან სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას, მათს ეკონომიკას, სუსტად ავლინებენ რეზერვებს.

პარტიული კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას, რის შედეგადაც მთლიანად არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმის ელემენტები ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას:

ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ შინაპარტიული მუშაობა, დაუმორჩილონ იგი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას; გააძლიერონ პარტიის, როგორც რესპუბლიკის მთელ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი. მტკიცედ დაიცვან ხელმძღვანელობის კოლექტიურობა და შინაპარტიული დემოკრატია, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და განავითარონ თვითკრიტიკა და ნაკლოვანებათა კრიტიკა.

აამაღლონ მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, უზრუნველყონ პარტიული მუშაობის სწორი შეხამება სამეურნეო საქმიანობასთან, სისტემატურად გააუმჯობესონ ორგანიზაციული ხელმძღვანელობის სტილი.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანა უნდა იყოს პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის განუხრელი და თანმიმდევრული განხორციელება, შეუპოვარი ბრძოლა პარტიის დირექტივების შესრულებისათვის.

პარტიული აპარატის სტრუქტურის ცვლილებებთან დაკავშირებით ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებისადმი, გაუმჯობესოს მათი ინსტრუქტირება და მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები უნდა განამტკიცონ გამოცდილი, უნარიანი ორგანიზატორი მუშაკებით, გაბედულად დაწინაურონ ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა კადრები, მათ შორის ქალები.

საჭიროა ვასწავლოთ ხელმძღვანელ კადრებს კრიტიკულად აფასებდნენ თავიანთი მუშაობის შედეგებს, ვეხმარებოდეთ მათ თავიანთი იდეური დონის ამაღლებაში, საქმიანი თვისებების სრულყოფაში.

ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს განაგრძონ მუშაობა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხარისხობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მუდამ ზრუნავდნენ მისი რიგების განმტკიცებისათვის, უმთავრესად მოწინავე მუშების, კოლმეურნეების მიღებით, იმ ადამიანების მიღებით, რომლებიც უშუალოდ ქმნიან მატერიალურ დოვლათს, ზრუნავდნენ ჩვენი პარტიის რიგების სიწმინდისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად ყრილობა ავალებს პარტიულ კომიტეტებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა პროფკავშირებისადმი, გააძლიერონ მათი როლი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან გააძლიერონ ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი, მტკიცედ გაავრცელონ და დანერგონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, შრომის მოწინავე მეთოდები.

ყრილობა ავალებს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გააძლიერონ დახმარება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისადმი, ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ მათი როლი და პასუხისმგებლობა თვითეული ქარხნის, ფაბრიკის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაობისათვის, ეცადონ მიაღწიონ მშრომელთა ფართო მასების აქტიურ მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყონ კომკავშირელებისა და მთელი ახალგაზრდობის კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უფრო მეტად იზრუნონ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

ყრილობა ავალებს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ არმიაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, ჯარს ნაწილებთან და მათს პარტიულ ორგანიზაციებთან პარტიული ორგანოების ყოველდღიური კავშირის განმტკიცებას.

იდეოლოგიური მუშაობის დარგში ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მთავარი ამოცანაა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან პროპაგანდის მოწყვეტის სრული დაძლევა, კომუნისტთა იდეური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება, პარტიულ პროპაგანდაში დოგმატიზმისა და მედავითნეობის აღმოფხვრა. საჭიროა გაძლიერდეს ლექციური პროპაგანდა, მეტი ყურადღება მიექცეს პოლიტიკური აგიტაციის გაშლას, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, ამაღლდეს პრესის როლი პარტიული მუშაობის შემდგომ სრულყოფაში. პრესა ყოველმხრივ და ღრმად უნდა აშუქებდეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს, ფართოდ ავრცელებდეს მოწინავე გამოცდილებას, აჩაღებდეს ნაკლოვანებათა გაბედულ კრიტიკას, რაზმავდეს მასებს მათი დაძლევისათვის.

ყრილობას მიაჩნია, რომ შემოქმედებითი კავშირების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გადამწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებების, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ.

საჭიროა გაძლიერდეს მშრომელთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა ლენინური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, პარტიის საქმისადმი, ხალხის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

• • •

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი და ყოვლისმძლე იდეების ერთგული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საქართველოს პარტიული ორგანიზაცია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი—კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობა პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს მაღლა ეჭირებათ ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ძლევამოსილი დროშა, კომუნიზმის დროშა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 12 თებერვალს პარიზში 88 წლის ასაკში გარდაიცვალა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გაზეთ „ლუმანიტეს“ პოლიტიკური დირექტორი, ეროვნული კრების უხუცესი დეპუტატი, საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის დაუღალავი მებრძოლი ამხანაგი მარსელ კაშენი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

იმ მიზნით, რომ შემდგომ წახალისდეს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში და შეიცვალოს ომისშემდგომ წლებში შექმნილი პრაქტიკა, რომლის დროსაც სსრ კავშირის მოქალაქეთა დაჯილდოება უმთავრესად წარმოებდა ნამსახურობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 11 თებერვალს მიიღო ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების წესის შესახებ“.

მიღებული ბრძანებულების თანახმად მიჩნეულია საჭიროდ ამიერიდან სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება წარმოებდეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში კონკრეტული წარმატებებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, სახელმწიფოს თავდაცვის განმტკიცებაში, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

დაწესდა, რომ დასაჯილდოებლად წარდგენას აწარმოებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების ცენტრალური ორგანოები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

ბრძანებულება აუქმებს ნამსახურობისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებას.

ძალადაკარგულად მიჩნეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინათ მიღებული ბრძანებულებანი და დადგენილებანი სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების წესისა და ნამსახურობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების წესის შესახებ.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 10 თებერვლის ბრძანებულებით დაწესა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი 1958 წლის 17 თებერვლიდან 18 მარტამდე თავისუფლდება ძირითადი სამუშაოსაგან და ენახება ხელფასი ძირითადი მუშაობის ადგილას.

კუზნეცკელი და დნეპროძერჟინსკელი მეტალურგების მიმართვა საბჭოთა კავშირის ყველა მეტალურგისადმი

კუზნეცკის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატისა და დნეპროძერჟინსკის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივებმა მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის მეტალურგიული მრეწველობის ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსსა და მოსამსახურეს მხარი დაუჭირონ გამოჩენილი დონბასელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის წამოწყებას, გაიჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ყოველი ცვლის საწარმოო ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივმა იკისრა 1958 წლის გეგმა შესრულოს ვადაზე ადრე.

ანალოგიური სოციალისტური ვალდებულებების შესრულება იკისრა დნეპროძერჟინსკის ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა.

— 1958 წელი, — მოუწოდებენ კუზნეცკელი და დნეპროძერჟინსკელი მეტალურგები საბჭოთა კავშირის მეტალურგებს, — აღვნიშნოთ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი გამარჯვებების მოპოვებით!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია

საქართველოში საოლქო საარჩევნო კომისიები განაგრძობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციას.

თბილისის კალინინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი,** რომელიც დაასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივებმა და გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანის კოლმეურნეობა „საბჭოთა საქართველოს“ წევრებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ახალციხის რაიონის სოფელ ბურნაშენთის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვასილ ბაიკის-ძე ქოჩოიანი.**

საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი **ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძე.**

ქუთაისის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მოწინავე მქსელავი **გოგონა ილიას ასული გამეზარდაშვილი.**

ბორჯომის საარჩევნო ოლქში კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი **კუზმა ნიკიტას-ძე გალიცკი.**

გორის საარჩევნო ოლქის კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ახალციხის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს ახალციხის რაიონის სოფელ ბურნაშენთის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვასილ ბაიკის-ძე ქოჩოიანი.**

საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამტრედიის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი **ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.**

ზესტაფონის საარჩევნო ოლქის ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ზესტაფონის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი **მიხეილ ანტონის-ძე ფერაძე.**

საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქუთაისის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ემენ პართენის-ძე ტაკიძე.**

ამბროლაურის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მოწინავე მნგრეველი **ივანე სავლეს-ძე ორჯონიკიძე.**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჭიათურის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს ამწეველი **ზაქარია ივანეს-ძე აბრამიშვილი.**

ხაშურის საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე ინაური.**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მცხეთის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი ბალეტმაისტერი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ვახტანგ მიხეილის-ძე ჭაბუკიანი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის **იოსებ გიორგის-ძე რთველიაშვილის** კანდიდატურა.

თელავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გრიგოლ ილიას-ძე ქადაგიძე.**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სიღნაღის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ პეტრეს-ძე მამაიაშვილი.**

კალდახვარის საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარე **ვლადიმერ ანტონის-ძე ლაკოია.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გუდაუთის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია სოფელ ჯიხვის ტელმანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ჯრუნის კოლმეურნე **ანა უგუგის ასული ანკვაბი.**

სოხუმის ლენინის საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მემანქანე **ალექსი კამუგის-ძე გუბაზი.**

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი **ქეთევან ბესარიონის ასული ლომთათიძე.**

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ტყვარჩელის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა სტალინის სახელობის შახტის მნგრეველ-მტვირთავის **ზაბეტ მუსტაფას-ძე ყიბას** კანდიდატურა.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის ზღვისპირა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულია სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის უფროსი **მემედ ემინეს-ძე ფალავა.**

ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრირებულია ბათუმის რაიონის მოწინავე კოლმეურნე **მარიამ ხუსეინის ასული გურგენიძე.**

(საქდეპი).

სოხუმის აგურის ქარხნის აგიტატორი გ. ლეთოდიანი ესაუბრება მუშებს ამომრჩევლებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შესახებ.

ფოტო ნ. ჯიმშიდავასი. (საქდეპის ფოტოქრონიკა).

ხალხი იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

დიადი პროგრამა

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საამქროებში, ცვლებსა და ბრიგადებში აგიტატორები საუბრებს აწყობენ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შესახებ ყველა ამომრჩევლისადმი.

სასადილო შესვენების დროს მოსამზადებელი საამქროს კოლექტივი გაეცნო მიმართვას. საამქროს მუშამ ლ. კოხრეიძემ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში შეჯამებულია იმ თვალსაჩინო მიღწევების შედეგები, რომლებიც ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში მოიპოვა. ეს მიღწევები გვახარებს და გვინერგავს სიამაყეს საყვარელი სამშობლოსათვის.

შრომითი აღმავლობა

სოხუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის № 1 საამქროში აგიტატორებმა ი. ჯოლიამ, ბ. კუციამ და სხვებმა დაწვრილებით განუმარტეს ამომრჩევლებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შინაარსი. მოწინავე მუშამ ზედაპირის გადამჭიმავმა ნ. გელიკმა განაცხადა:

— სიხარულით ველოდები ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების დღეს 16 მარტს, რომ მონაწილეობა მივიღო კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული კანდიდატების არჩევნებში. ჩვენი საამქროს კოლექტივი კისრულობს არჩევნების დღისათვის გეგმის ზევით გამოუშვას 2 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

არ დაუშვათ წველადობის შემცირება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მარშან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში. თვითეულ ძროხაზე 1.002 კილოგრამი რძე მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 950 კილოგრამისა.

მიმდინარე წელს საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუღალავად შრომობენ, რათა მეტი წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის საქმეში.

ბევრგან პირველი თვიდანვე გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობის აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო სოფლებში მტკიცედ ნერგავენ მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებასა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებს. მაგალითად, ბათუმის რაიონში იანვარში თვითეულ საფუძველზე ძროხაზე მიიღეს 148 კილოგრამი რძე, რაც 14 კილოგრამით მეტია შარშან იმავე თვეში მიღებული რძის რაოდენობაზე. ასევე მნიშვნელოვნად გაადიდეს წველადობა ქობულეთის, წითელწყაროს, მახარაძის, გარდაბნის, ბოლნისის, გურჯაანის, დმანისის, ბოგდანოვკის, წალკის, მცხეთის, კაჩრეთის, საგარეჯოს, წყალტუბოს და სხვა რაიონებმა.

გასული თვის შედეგები აგრეთვე მოწმობს, რომ ზოგან პირუტყვის კვებასა და მოვლას ჯეროვანი ყურადღება არ ეძცევა, ცუდად აზამთრებენ მეწველ საქონელს და, რაც მთავარია, ზამთარში, როცა პირუტყვი გადაყვანილია ბაგურ კვებაზე, არ იცავენ სრულფასოვანი კვების რაციონს. ყოველივე ამის შედეგად დაბალია პროდუქტიულობა.

განა სამარცხვინო არ არის ის ფაქტი, რომ შუახევის რაიონში 1958 წლის 1 თებერვლისათვის თვითეულ ძროხაზე 8 კილოგრამი რძე მიიღეს? ეს 2 კილოგრამით ნაკლებია, შარშან ამავე პერიოდთან შედარებით. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები რატომღაც შეურიგდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს მეცხოველეობაში, რამაც არასასურველი შედეგი გამოიღო.

წველადობა შარშანდელთან შედარებით შეამცირეს აგრეთვე ცაგერის, ხულოს, ჭიათურის, ლენინგორის, ზნაურის, თეთრი წყაროს, ქარელის, გორისა და სტალინირის რაიონებმა.

ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ აღმოვფხვრათ გასული წლის ნაკლოვანებანი, ამთავითვე ვიბრძოლოთ არსებული შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის. საკოლმეურნეო წარმოების პრაქტიკამ ცხადყო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არის უდიდესი რეზერვები წველადობის გასაადიდებლად. რესპუბლიკას ჰყავს მეცხოველეობის საქმის ნამდვილი ოსტატები, ნოვატორები. საწყუსაროდ, საძროხე მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებაში მოწინავე გამოცდილებას ყველგან როდი ნერგავენ. საჭიროა მოწინავე კოლმეურნეობების, ფერმებისა და მწველავების გამოცდილებას ყველგან ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ.

ზოგიერთ რაიონში წველადობის შემცირების მიზეზი ისიც არის, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილების დანერგვის საქმე დღემდე არ გამხდარა უმნიშვნელოვანეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოვალეობად.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღვაწლი საქმეა გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა მეცხოველეობის ფერმებში, დარაზმონ მახები წველადობის გეგმის შესრულებისათვის, არ დაუშვან წველადობის შემცირება.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები დიდი პასუხისმგებლობის წინაშე არიან. მათ ისე უნდა იმუშაონ, რომ 1958 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღონ სულ ცოტა 1.500 კილოგრამი რძე. ამის შესრულება სავსებით შესაძლებელია, თუ არსებულ რეზერვებს გამოიყენებთ. ახლავე უნდა შეადგინოთ მთელი წლისათვის თვითეული რაიონის, კოლმეურნეობის მიხედვით რძის წველადობის გრაფიკი, მოვაწყოთ პირუტყვის სწორი კვება და მოვლა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. მეცხოველეობის მუშაკთა მოვალეობაა ამთავითვე რიტმულად იმუშაონ, სანიმუშოდ მოაწყონ პირუტყვის გამოზამთრება და მიაღწიონ წარმატებებს მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ოთხ წელიწადში...

გულს ახარებს თვალსაჩინო ცვლილებები, რაც დუშეთში უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მოხდა.

თქვენს წინაშეა მოასფალტებული მოედანი მშვენიერი შადრევნით, რომლის ერთ მხარეს აღმართულია პარტიის რაიკომის ორსართულიანი, არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული შენობა, ხოლო მარცხნივ სარაიონო კულტურის სახლი, რომლის გახსნა დუშელებმა შარშან იდღესასწაულეს.

წინათ ამ ადგილას ქოხები იდგა. რაიონულ ცენტრში შესასვლელი გზა ოლრო-ჩოლრო და ტალახიანი იყო ახლა აქ ჩანს ი. ბ. სტალინის სახელობის ქუჩა ლამაზი მოაჯირებითა დ ლამპიონებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ დუშეთში გაიხსნა ზოოვეტერინარული ტექნიკუმი, რომელშიც ას სამოცდაათზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება მეცნიერებას. გაივლის ხანი და ისინი სათავეში ჩაუდგებიან საკოლმეურნეო ფერმებს და ბრიგადებს, იმუშავებენ ზოოვეტუბნებში.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის ყოველდღიური ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია. ეს კარგად ჩანს დუშეთის მაგალითითაც. ქალაქში მალე დაამთავრებენ ახალი კინოთეატრის აგებას და მეორე წყალსადენის გაყვანას. წელსვე დაიწყება საცურაო აუზისა და ახალი სასტუმროს მშენებლობა.

წლითიწლობით უფრო ლამაზი, უფრო კეთილმოწყობილი ხდება საქართველოს ეს უძველესი ქალაქი. შარშან აქ მარტო კეთილმოწყობაზე 700 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა, დუშეთის ხევზე აშენდა ახალი ხიდები, მოიკირწყლა ქუჩები, დაირგო ასობით მარადმწვანე მცენარე.

ქალაქში გაჩაღებულია ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. 1954 წლიდან დღემდე ასზე მეტმა მშრომელმა აიშენა ახალი სახლი. დუშეთს შეემატა შ. არაგვისპირელის, ალ. ყაზბეგის, კოლმეურნეთა, საბჭოს და საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის ახალი ქუჩები.

დუშეთის რაიონისა და მოძმე დაღისტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების აღსანიშნავად, რომელიც მეოთხე წელიწადს გრძელდება, დუშეთის ერთ-ერთ ახალ ქუჩას გუნიბის ქუჩა ეწოდა.

დუშელების სიამაყეა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. აქ გულისყურით, ინტერესით ეცნობიან დუშეთის გლეხთა 1918 წლის შეიარაღებული აჯანყების გმირულ ამბებს, რომლის ამსახველი ექსპონატები გამოფენილია მუზეუმში.

დუშეთის რაიონში გაჩაღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. მშრომელთა შორის ხუთასზე მეტი აგიტატორი ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. როცა აგიტატორები მშრომელებს მოუთხრობენ ჩვენს ქვეყანაში მომხდარ დიად გარდაქმნათა შესახებ, მათთვის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ერთ დროს უკიდურესად ჩამორჩენილი ქალაქ დუშეთის სასიხარულო აღორძინება.

ა. თოდუაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის ახალი შენობა.

რძის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1958 წლის 1 თებერვლისათვის

რაიონების დასახელება (დაკავებული ადგილის მიხედვით)	საშუალო წველადობა კილოგრამობით 1958 წლის იანვარში	1957 წლის იანვარში	გადოლება (+) შემცირება (—)
ბათუმი	148	134	+14
წითელწყარო	102	95	+ 7
ქობულეთი	99	89	+10
საგარეჯო	90	84	+ 6
მახარაძე	87	75	+12
ბოგდანოვკა	86	78	+ 8
გურჯაანი	77	65	+12
დმანისი	75	54	+21
გარდაბანი	72	56	+16
ბოლნისი	72	63	+ 9
გარეუბანი	69	70	— 1
მარნეული	69	60	+ 9
მცხეთა	69	52	+17
კაჩრეთი	64	43	+21
თერჯოლა	64	46	+18
წყალტუბო	62	44	+18
ყვარელი	60	56	+ 4
თელავი	59	51	+ 8
წალკა	59	25	+34
ქუთაისი	56	46	+10
ლენინგორი	55	32	+23
ორჯონიკიძე	52	45	+ 7
ტყიბული	51	25	+26
სიღნაღი	49	39	+10
თეთრი წყარო	48	55	— 7
ლაგოდეხი	47	42	+ 5
დუშეთი	47	47	—
ჩოხატაური	47	46	+ 1
გაგრა	45	36	+ 9
მესტია	44	42	+ 2
ახმეტა	42	42	—
გორი	40	43	— 3
წულუკიძე	40	16	+24
ახალქალაქი	40	29	+11
აბაშა	40	33	+ 7
ვანი	39	32	+ 7
სტალინირი	38	41	— 3
ზუგდიდი	37	32	+ 5
ზესტაფონი	37	27	+10
სამტრედია	37	31	+ 6
გეგეჭკორი	35	17	+18
გალი	32	21	+11
ყაზბეგი	31	28	+ 3
ცხაკაია	31	22	+ 9
ხაშური	30	30	—
ქარელი	30	32	— 2
ამბროლაური	29	23	+ 6
ონი	27	15	+12
თიანეთი	27	22	+ 5
კასპი	26	24	+ 2
გულრიფში	26	17	+ 9
ლენინგორი	26	28	— 2
ოჩამჩირე	25	25	—
ზნაური	25	33	— 8
ჯავა	25	12	+13
საჩხერე	23	22	+ 1
ქედა	23	16	+ 7
სოხუმი	22	17	+ 5
ხობი	20	16	+ 4
ახალციხე	20	12	+ 8
ჭიათურა	20	22	— 2
ბორჯომი	20	19	+ 1
გუდაუთა	20	14	+ 6
ასპინძა	18	11	+ 7
წალენჯიხა	18	15	+ 3
მაიაკოვსკი	14	10	+ 4
ცაგერი	14	16	— 2
ჩხოროწყუ	14	8	+ 6
ადიგენი	13	8	+ 5
ხულო	11	12	— 1
ლენტეხი	11	7	+ 4
შუახევი	8	10	— 2

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის გადაწყვეტილებანი

პეკინი, 11 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება: სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის დღეგანდელ სხდომაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ჯოუ ენ-ლაის წინადადებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსთან არსებულ ზოგიერთ სამინისტროთა და უწყებათა შეერთების, გაუქმებისა და სახელის გადარქმევის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი უქმდება და მისი ფუნქციები გადაეცემა სახელმწიფო საეგმო კომიტეტს, სახელმწიფო ეკონომიურ კომიტეტსა და მშენებლობის სამინისტროს;

ვაჭრობის სამინისტროს დაერქმევა ვაჭრობის პირველი სამინისტრო და კომუნალური მეურნეობის სამინისტროს — ვაჭრობის მეორე სამინისტრო;

მანქანათმშენებლობის პირველი სამინისტრო, მანქანათმშენებლობის მეორე სამინისტრო და ელექტრომანქანათმშენებლობის მრეწველობის სამინისტრო ერთიანდება ერთ სამინისტროდ, რომელსაც ერქმევა მანქანათმშენებლობის პირველი სამინისტრო, ხოლო მანქანათმშენებლობის მესამე სამინისტროს დაერქმევა მანქანათმშენებლობის მეორე სამინისტრო;

ელექტრომრეწველობის სამინისტრო და ირიგაციის სამინისტრო ერთიანდება ერთ სამინისტროდ — ირიგაციისა და ელექტროენერგეტიკის სამინისტროდ; საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, მშენებლობის სამინისტრო და საქალაქო მშენებლობის სამინისტრო ერთიანდება ერთ სამინისტროდ — მშენებლობის სამინისტროდ;

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და კვების მრეწველობის სამინისტრო ერთიანდება ერთ სამინისტროდ — მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ.

სატყეო მეურნეობის სამინისტრო და ხე-ტყის მრეწველობის სამინისტრო ერთიანდება ერთ სამინისტროდ — სატყეო მეურნეობის სამინისტროდ;

იქმნება უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქმეთა კომიტეტი და უქმდება უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქმეთა სამმართველო;

უმაღლესი განათლების სამინისტრო და განათლების სამინისტრო ერთიანდება ერთ სამინისტროდ — განათლების სამინისტროდ.

სესიის გამსახელველად წარდგენილ თავის წინადადებაში სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ აღნიშნა, რომ ასეთი რეორგანიზაცია საჭიროა იმისათვის, რომ განხორციელდეს მუშაობის სტილის მოწესრიგების კურსი, იგივ აგრეთვე საჭიროა ახლანდელ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, როცა ჩინეთის სოციალისტურ მშენებლობაში დაიწყო მეორე ხუთწლედი. უკვე მოხდა ერთგვარი ცვლილებანი სახელმწიფოს მართვის სისტემაში: ბევრი საწარმო, რომლებიც წინათ უშუალოდ ექვემდებარებოდა ცენტრალურ მთავრობას, ადგილობრივ ხელისუფალთა გამგებლობას გადაეცა. განზრახული რეორგანიზაცია, აღნიშნა ჯოუ ენ-ლაიმ, მეტ საზუსტეს შეიტანს უწყებათა შორის ფუნქციების განაწილებაში, განამტკიცებს ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას და გაძლიერებს მუშაობის ეფექტიანობას, რაც შეაძლებელს გახდის, რომ უფრო ეფექტიანად განხორციელდეს ჩინეთის სოციალისტური მშენებლობის კურსი, რაც იმით გამოიხატება, რომ ვაკეთოთ მეტი, უფრო სწრაფად, უკეთესად და უფრო ეკონომიურად.

დღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიამ პრემიერ ჯოუ ენ-ლაის წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ ი შეთავსებით დაინიშნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრად.

პეკინი, 11 თებერვალი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, დღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიამ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის გეგმა და მოიწონა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

შესწორებანი, რომლებიც სესიაზე ბიუჯეტის პროექტში შეიტანეს, ითვალისწინებენ სახელმწიფო შემოსავლის გადიდებას 135 მილიონი იუანით. ამრიგად, სახელმწიფო შემოსავალი 1958 წლის ბიუჯეტით შეადგენს 33.198 მილიონ იუანს. შემოსავალი დაბალანსებულია გასავლის გადიდებით.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ჩინეთის როგორც საერთაშორისო, ისე საშინაო მდგომარეობა ხელს უწყობს 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახალხო მეურნეობის გეგმის განხორციელებას, „მუშაობის სტილის მოწესრიგებისათვის მოძრაობის შედეგად ჩინეთში არის აღმავლობა წარმოებასა და მშენებლობაში. პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მოპოვებულმა შესანშნავმა წარმატებებმა ხალხს ჩაუნერგეს უდიდესი რწმენა ჩვენი დიდი მომავლისადმი; ჩაღდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ 15 წელიწადში ან რამდენადმე მეტ ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ინგლისს ფოლადისა და მრეწველობის სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მხრივ და ვადამდე შევასრულოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების 1956-1967 წლების ძირითად დებულებათა გადასინჯული პროექტი“. საერთაშორისო ასპარეზზე, აღნიშნულია შემდეგ გადაწყვეტილებაში, მშვიდობის ძალები დღითიდღე სულ უფრო სჯარბობენ იმპერიალიზმის ძალებს. ჩინეთი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

1957 წლის სახელმწიფო პიუჯეტის შესრულებამ, აღნიშნული გადაწყვეტილებაში, არა მარტო ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, არამედ აგრეთვე მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა მეორე ხუთწლიან გეგმას.

პეკინი, 11 თებერვალი. (საკდესი). სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიის საბოლოო სხდომაზე დამტკიცდა აგრეთვე მოხსენება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის მუშაობის შესახებ, მოწონებულ იქნა მოხსენება დამწერლობის რეფორმის შესახებ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, არჩეულ იქნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის კიდევ ერთი მოადგილე და მუდმივი კომიტეტისა და მისი კომისიების ახალი წევრები.

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის ი. ბ. სტალინის სახელობის № 1 შახტის ახალგაზრდობის ინტერნატის წითელ კუთხეში ყოველთვის ბევრი ხალხია. აქ კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, თამაშობენ ჭადრაკსა და შაშს.

სურათზე: ახალგაზრდა მეშახტეები ს. ჯოფუა, ი. ანკვაბი, ვ. სადოვი და შ. ჯოფუა კროსვორდის ამოხსნის დროს.

პირველი ქართველი კინოოპერატორი

ქუთაისში ცხოვრობს კინოოპერატორი ვასილ ამაშუკელი, ავტორი პირველი ქართული დოკუმენტური კინოფილმისა „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, რომელიც 1912 წელს შეიქმნა.

ვასილ ამაშუკელს ბაქოსა და ქუთაისში მუშაობის დროს გადაღებული აქვს აგრეთვე ბევრი სხვა მცირე ფორმის კინოფილმი.

კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ ჩვენამდე მთლიანად არ არის მოღწეული, მაგრამ შემორჩენილი მისი ძირითადი ნაწილიც კი მეტად საინტერესოა და ასახავს იმ დიდ სახალხო ზეიმს, რომელიც ჩვენს სასიქადულო მგოსანს 45 წლის წინათ მოუწყეს. ცნობილია, რომ მთელი რიგი კადრები, კერძოდ ისტორიული ძეგლები და სახალხო მასობრივი სანახაობანი, გადაღებულია აკაკის რჩევით. ფილმი გვაგრძნობინებს კინოოპერატორის ოსტატობას, მის მაღალ მხატვრულ გემოვნებას.

ქართული კინოხელოვნების პიონერს, 70 წლის ვ. ამაშუკელს ამ დღეებში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შემოქმედებითმა კოლექტივმა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრში შემოქმედებითი საღამო გაუმართეს.

საღამოზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ჯაველიძემ. ვ. ამაშუკელის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კინოდრამატურგი კ. გოგოძე, იუბილარს მიესალმნენ დოცენტები მ. ალავიძე, გ. სამხარაძე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენელი ვ. ბაქრაძე, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. გომიაშვილი, აკ. წერეთლის სახელობის ჰიპოთური თეატრის მთავარი რეჟისორი რესპუბლიკის სახალხო არტისტი პ. ფრანგიშვილი, ლ. ნუცუბიძე, აგრეთვე ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეები. ქუთაისის მშრომელთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ა. კლიმჩუკმა.

იუბილიარის სახელზე მიღებულ იქნა მისალოცი დეპეშები მოსკოვიდან, ბაქოდან, თბილისიდან, აგრეთვე რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან.

საღამოზე ნაჩვენები იქნა ვ. ამაშუკელის მიერ გადაღებული კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, აგრეთვე სცენები ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლ „შარავანდედიდან“.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საბჭოთა კავშირ-ცეილონის მეგობრობის საღამო თბილისში

საქართველოს საზოგადოებრიობამ ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად აღნიშნა ცეილონის დამოუკიდებლობის გამოცხადების მეათე წლისთავი. ამ თარიღს მიეძღვნა საღამო, რომელიც 11 თებერვალს გაიმართა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში. საღამოს დაესწრნენ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების, ინტელიგენციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

შეკრებილებმა ინტერესით მოისმინეს მოხსენება ცეილონის დამოუკიდებლობის გამოცხადების მეათე წლისთავის შესახებ. მოხსენება გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ჭ. ბახტაძემ, რომელიც ამას წინათ იყო ცეილონში. მან ილუსტრაციად რვამილიონიანი ცეილონელი ხალხის ახალ ცხოვრებაზე, იმაზე, რომ ამ ხალხმა უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლაში მოიპოვა დამოუკიდებლობა და თავდადებით იბრძვის კოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობის რაც შეიძლება მალე აღმოფხვრისათვის, აგრეთვე აღნიშნა, თუ როგორ მტკიცდება მეგობრობა საბჭოთა კავშირსა და ცეილონს შორის. (საქდესი).

XXV საჭადრაკო ჩემპიონატი

რიგა. 12 თებერვალი. (ტელეფონით, სპეც. კორ.). უკანასკნელი ტურის წინ გადადებული პარტიების შედეგებს განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ შეხვედრათა უმრავლესობა შეუთავარი ბრძოლით ხასიათდებოდა.

ი. ავერბახ-ა. სუეტინის პარტიაში გაიმარჯვა ი. ავერბახმა. ს. ფურმანმა მოუგო მ. ტაიმანოვს, დ. ბრონშტეინმა — ა. ბანიკს, ლ. პოლუგაევსკიმ — ს. ფურმანს, ნ. კროგიუსმა — ა. კოტოვს. მ. ტალი და ნ. კროგიუსი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით 75-ე სვლაზე დამთავრდა ი. ბოლესლავსკისა და ბ. გურგენიძის პარტია. ბ. გურგენიძის მეორე გადადებული პარტია ი. ავერბახთან გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

უკანასკნელი ტურის წინ მდგომარეობა ასეთია: ტ. პეტროსიანსა და მ. ტალს თერთმეტნახევარ-თერთმეტნახევარი ქულა აქვთ, დ. ბრონშტეინს — 11 ქულა, ბ. სპასკის — $10^1/_2$ ქულა.

დღეს გაიმართება უკანასკნელი ტური.

ნეკროლოგი

ვ. გ. მამალაძე

ბიბლიოგრაფი

ანგარიშვალდებული ... ბის შემდეგ გარდაიცვალა ამხ. ვლადიმერ გერასიმეს-ძე მამალაძე, კომუნისტური პარტიის წევრი 1918 წლიდან.

ვ. გ. მამალაძე დაიბადა 1898 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ნაბელევში, ღარიბი გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო გორის სამასწავლებლო სემინარიაში, ხოლო უმაღლესი — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1931 წელს.

ამხ. ვ. გ. მამალაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა კომუნისტური პარტიის არალეგალურ მუშაობაში გურიაში, რისთვისაც მენშევიკური ხელისუფლებისაგან განიცდიდა დევნას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან უკანასკნელ დრომდე ვ. მამალაძე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოზე — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად, უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და სხვ.

პარტიის საქმისათვის ერთგული მუშაკის და გულისხმიერი ამხანაგის ვლადიმერ გერასიმეს-ძე მამალაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მის ამხანაგებში.

ამხანაგების ჯგუფი.

მამაცი მეზღვაურები

ფოთი, 12 თებერვალი. (საქდესი). ამას წინათ ზღვაში ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა, რომელმაც მოუსწრო ნაპირიდან შორს მყოფ ლიხტერ „კერეტს“ და საბუქსირო გემ „კომუნისტს“. უეცრად მოვარდნილმა ტალღამ გაწყვიტა ფოლადის საბუქსირე გვარლი, რომელიც მიმაგრებული იყო „კერეტზე“. ლიხტერს სტიქიონი დაეუფლა. გემს საფრთხე მოელოდა.

როგორც კი ნავსადგურში მიიღეს რადიოგრამა ამის შესახებ, ავარიის ადგილას მაშინვე წავიდა ნავსადგურის საავარიო — მაშველი გემი „ორშა“. „ორშის“ ეკიპაჟი ერთსულოვნად მუშაობდა, სწრაფად ახორციელებდა კაპიტანის მანევრებს, რათა დაემაგრებინათ ბუქსირის გვარლი ლიხტერზე.

„ორშის“ ეკიპაჟმა დიდი სიძნელეები გადალახა ქარიშხალთან ბრძოლაში, მშვიდობიანად მოიყვანა ნავსადგურში ლიხტერი „კერეტი“ მისი ეკიპაჟიანად. მაშველ ოპერაციას უნარიანად ხელმძღვანელობდა „ორშის“ კაპიტანი შ. ვადკჟორია, ფოთის ნავსადგურის კაპიტანი ა. ქირია, უფროსი თანაშემწე ს. მალანია და „ორშის“ უფროსი მექანიკოსი ნ. ხუბუა, თავი ისახელეს მატროსებმა ვ. კოლესნიკოვმა, ვ. პატარაკამ და სხვებმა.

რუმინული გრაფიკის გამოფენის დიდი წარმატება თბილისში

12 თებერვალს თბილისში დაიხურა რუმინული გრაფიკის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თვალსაჩინო რუმინელი მხატვრების 74 ნაშრომი. წარმოდგენილი იყო ყველა სახეობის გრაფიკული ხელოვნება.

გამოფენამ მრავალი დამთვალიერებელი მიიზიდა. შთაბეჭდილებათა წიგნში მოცემულია ბევრი ნაწარმოების მაღალი შეფასება, აღნიშნულია მათი მრავალფეროვანი თემატიკა. (საქდესი).

რედაქტორი პ. რატიანი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ბრძანებულებები

პეკინი, 11 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გადმოსცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის ბრძანებულება, რომელიც დღეს გამოქვეყნდა. ბრძანებულებაში ნათქვამია:

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა პირველი მოწვევის კრების მეხუთე სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად ვნიშნავ:

ჩენ ის — საგარეო საქმეთა მინისტრად შეთავსებით,

შა ციან-ლის — სურსათის მინისტრად,

იან ი-ჩენს — ვაჭრობის მეორე სამინისტროს მინისტრად,

ჯაო ერ-ლუს — მანქანათმშენებლობის პირველი სამინისტროს მინისტრად,

ფუ ძო-ის — ირიგაციისა და ელექტროენერგეტიკის მინისტრად,

იუ ციუ-ლის — ნავთობის მრეწველობის მინისტრად,

ლი ჯუ-ჩენს — მსუბუქი მრეწველობის მინისტრად,

ვან შოუ-დაოს — კომუნიკაციების მინისტრად,

ჯან სი-ეოს — უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ,

იან სიუ-ფინს — განათლების მინისტრად.

ვთავაზობ:

ჯოუ ენ-ლაის — საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან, რომელსაც შეთავსებით ასრულებდა,

ვან ხე-შოუს — მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, რომელსაც შეთავსებით ასრულებდა,

ლი ძი-ფას — საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან,

ხუან ძინს — მანქანათმშენებლობის პირველი სამინისტროს მინისტრის მოვალეობისაგან, რომელსაც შეთავსებით ასრულებდა,

ჯაო ერ-ლუს — მანქანათმშენებლობის მეორე სამინისტროს მინისტრის მოვალეობისაგან,

ლიუ ლან-ბოს — ელექტრომრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან,

ლი ძიუი-კუის — ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან,

ვან ლის — საქალაქო მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან,

შა ციან-ლის — მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან,

ლი ჯუ-ჩენს — კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან,

ფუ ძო-ის — ირიგაციის მინისტრის მოვალეობისაგან,

იან სიუ-ფინს — უმაღლესი განათლების მინისტრის მოვალეობისაგან,

ჯან სი-ეოს — განათლების მინისტრის მოვალეობისაგან.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე

მაო ძე-დუნი.

1958 წლის 11 თებერვალი.

პეკინი.

პეკინი, 11 თებერვალი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის ბრძანებულებას, რომელიც დღეს აქ გამოქვეყნდა.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა პირველი მოწვევის კრების მეხუთე სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ნათქვამია ბრძანებულებაში, გო ფო-ეოს ვნიშნავ ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, ხოლო ჩენ ბო-დას, ლი სი-გუანს, ჯან ძინ-ფუს, ტაო მენ-ხეს, ჯუ კე-ჯენს და უ იუ-სუნს — ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე

მაო ძე-დუნი.

1958 წლის 11 თებერვალი.

ჩადენილია თვითნებობის დანაშაულებრივი აქტი

პარიზი, 11 თებერვალი. (საკდესი). ტუნისის დასახლებულ პუნქტ საიეტ-სიდი-იუსეფში (რომელიც საფრანგეთის ავიაციამ დაბომბა), მომხდარა ამბებმა საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო ფენების გულისწყრომა გამოიწვია. ცნობილმა პოლიტიკურმა მიმომხილველმა მორის დიუვერჟემ გაზეთ „მონდში“ დაბეჭდა სტატია, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საქმე ეხება თვითნებობის აქტს, როგორიც არის მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა უცხოეთის ტერიტორიაზე, ესე იგი ისეთ მოქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს“.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ მენდეს-ფრანსმა გაზეთ „მონდს“ გაუკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „მე განუწყვეტლივ ვიმეორებდი: ჩვენს ალჟირის პოლიტიკას მივყავართ საფრანგეთსა და ალჟირკას შორის პირდაპირი განხეთქილებისაკენ“.

პარიზის პრესაში დაიბეჭდა ტუნისის დასახლებული პუნქტის ბარბაროსული დაბომბვის ზოგიერთ დამსწრეთა ნამბობი. საფრანგეთის ჟურნალისტების ჯგუფმა, რომელიც საკიეტ-სიდიიუსეფში იყო, გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია „დიდი მასშტაბი დაბომბვისა“, რომლის შედეგადაც „დაზიანდა საზოგადოებრივი ნაგებობანი, აგრეთვე კერძო სახლები, სკოლა და მაღაზიები“. ჟურნალისტები დასძენენ, რომ მათ ნახეს „საერთაშორისო წითელი ჯვრის კუთვნილი დანგრეული ავტომანქანები“, აგრეთვე დაჭრილი ქალები და ბავშვები, რომელნიც ქალაქ კეფის საავადმყოფოში იმყოფებიან.

გაძღაიცვალა მარსელ კაშენი

პარიზი, 12 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით პარიზში გარდაიცვალა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი მარსელ კაშენი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება მარსელ კაშენის გარდაცვალების გამო

პარიზი, 12 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა შემდეგი განცხადება: „საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საფრანგეთის ყველა კომუნისტს, მუშათა კლასსა და ხალხს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, რომ გარდაიცვალა პოლიტბიუროს წევრი, გაზეთ „ლუმანიტეს“ დირექტორი, ეროვნული კრების დეპუტატი პარიზისაგან ამხანაგი მარსელ კაშენი. ჩვენი პარტიის უხუცესი და პატივცემული მოღვაწე გარდაიცვალა 12 თებერვალს დილით, 88 წლის ასაკში“.

მარსელ კაშენის დაკრძალვა მოხდება 15 თებერვალს 14 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით.

ალჟირში ბრძოლები გრძელდება

პარიზი, 11 თებერვალი. (საკდესი). ალჟირში გრძელდება სისხლისმღვრელი ბრძოლები ალჟირელ აჯანყებულებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის. პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ ძლიერი შეტაკებანი მოხდა გასულ დღე-ღამეში ხენშელისა და სუკ-ახრასის რაიონებში. ბრძოლების დროს მოკლულია ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის 110 მებრძოლი. საფრანგეთის ჯარების ზარალი არ არის აღნიშნული.

დღეს თბილისის თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — მეფე ედიპი, **გრიბოედოვის სახელობის** — მეექვსე სართული, **სომხური დრამის** — ლუსი ლისინიანი, **მუსიკალური კომედიის** — დინარა, **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ია და ციასკარა (9 ს. 30 წ. მე-14 აბ.) **თოჯინების ქართული** — ჭკუა და გაჭოცდილება (10 ს., 11 ს. 2 ს.) **კონსერვატორიის მცირე დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი ალექსანდრე ნიკურაძის მონაწილეობით (9 ს.).

ტელეგადაცემათა პროგრამა

13 თებერვლისათვის

19.30 — გადაცემა ბავშვებისათვის. ციკლიდან „ვიცნობდეთ ჩვენს მხარეს“ — კინონარკვევი „ჩვენი სამშობლო“, 19.55 — კონცერტი, 20.25 — მხატვრული ფილმი „ცხოვრების გაკვეთილი“. 22.00 — გადაცემა ქალებისათვის — „ახალი მოდები“ (მოდების საკავშირო სახლის გაპოფენის ექსპონატები).

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, საზამთრო თეატრი

(პლეხანოვის პროსპ. № 123)

15 და 16 თებერვალს

კონცერტი

ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის პირველ ტურში გამარჯვებულთა მონაწილეობით.

დაიწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

13, 14, 15, 16, 17 თებერვალს

ბოშათა ატრაქციონის

და ცირკის მსახიობთა მთელი ჯგუფის გამოსათხოვარი გასტროლები

დაიწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

კვირას, 16 თებერვალს

დღის 2 საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

საქართველოს სახელმწიფო ციტრა-მონია, საზამთრო თეატრი

(პლეხანოვის პროსპ. № 123)

15 და 16 თებერვალს

კონცერტი

ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის პირველ ტურში გამარჯვებულთა მონაწილეობით.

დაიწყისი საღამოს 9 საათზე. ბილეთები იყიდება.

ბოლოდროინდელ ფილმებიდან

**ბ. ბოლოტოვის, ბ. ბოლოტოვის, ბ. ბოლოტოვის